ხელშეკრულება N 10-626
მომსახურების შესყიდვის თაობაზე

ქ. თბილისი **28 დეკემბერი 2020 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 13 ოქტომბრის N24/3 გადაწყვეტილების შესაბამისად, ერთის მხრივ შპს „თბილსერვის ჯგუფი" (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი დირექტორის რომეო მიქაუტაძეს სახით და მეორეს მხრივ სს "ენერგო-პრო ჯორჯია" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის მინდობილი პირის, საზოგადოების ბილინგის მენეჯერის გიორგი ზუკაკიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: **კლასიფიკატორის კოდი: 79941000**

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შპს "თბილსერვის ჯგუფისათვის" ქ. თბილისში, აბონენტების/მომხმარებლების მიერ ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის მეშვეობით დასუფთავების ტარიფის (საფასურის) დავალიანების, ასევე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მომსახურების არეალში არსებული აბონენტებისათვის მათ მიერ გადასახდელი დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანებისა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის შესახებ ერთიანი ქვითრის მიწოდების ან აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში ქვითრის ნაცვლად SMS-შეტყობინების გაგზავნის, გადახდილი თანხების აღრიცხვისა და მისი დანიშნულებისამებრ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხვის (მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 300773189) მომსახურება.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს შემდეგს:

1.3.1 კომერციული ციკლის გეგმის თანახმად, დარიცხვის პროცედურის შესრულება და მონაცემთა ბაზაში ასახვა;

1.3.2 შემსყიდველის აბონენტებისთვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების ასახვა ქვითრებში, მისი დაბეჭდვა და დარიგება ან ქვითრში მოცემული ინფორმაციის SMS-შეტყობინებით გაგზავნა.

1.3.3 საბანკო დაწესებულებებიდან, ასევე გადასახადის მიმღები სხვა პუნქტებიდან, რომელთანაც სს `ენერგო-პრო ჯორჯია" იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში, გადახდების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიღება.

1.3.4 გადახდების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ბანკის ამონაწერებთან შედარება და აბონენტის ბარათზე ასახვის მიზნით მონაცემთა ბაზაში მისი ექსპორტი;

1.3.5. შემსყიდველის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესაბამისად, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომსახურების არეალში არსებული აბონენტების შესახებ ინფორმაციის სააბონენტო ბარათებზე ასახვა. იურიდიული პირის შემთხვევაში – აბონენტის ნომერი, საქმიანობა, ფუნქციონირების პერიოდი, მოსაკრებლის ოდენობა თვეში, ზომის ერთეული და მისი რაოდენობა. მოსახლეობის შემთხვევაში – აბონენტის ნომერი, სულადობა და მისი მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე თვეში;

1.3.6 შემსყიდველის მიერ მოწოდებული (სახელმწიფო სუბსიდიების შესახებ) დოკუმენტების საფუძველზე ინფორმაციის შეტანა მონაცემთა ბაზაში;

1.3.7 შემსყიდველის მიერ მოწოდებული დოკუმენტების საფუძველზე შესაბამისი შესწორების/კორექტირების გატარება. ამასთან კორექტირებისას არასრული საკორექტირებელი თვის შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნას საშუალო დღიური მოსაკრებლის ოდენობა.

1.3.8 სისტემის პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა.

1.3.9 ერთერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, დადარება (დადარების აქტის წარმოება) მიმწოდებლის სპეცანგარიშზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურეობისათვის შემოსულ და სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხულ თანხებს შორის.

1.3.10 გასათიში აბონენტების/მომხმარებლების გენერირება, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კომერციული ციკლის შესაბამისად.

1.3.11 გათიშვა და გათიშვების რეესტრის დამუშავება.

1.3.12 ჩასართავი აბონენტების/მომხმარებლების სიის გენერირება ბანკებიდან და შემსყიდველისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

1.3.13 ჩართვა და ჩართვის რეესტრების დამუშავება.

1.3.14 ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში შეყვანა.

1.3.15 ანგარიშგების სისტემის წარმოება.

1.3.16 შემსყიდველისათვის ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება გამომდინარე მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების სახეებიდან.

1.3.17 სხვა მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია მიმწოდებლის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებასთან.

1.4 გათიშვას ექვემდებარებიან 2011 წლის 1 ივლისიდან დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფით (საფასური) და 2013 წლის 1 ივნისიდან დასუფთავების მოსაკრებლით წარმოქმნილი ვადადამდგარი დავალიანების მქონე შემსყიდველის აბონენტები.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე ჩაატაროს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ტექნიკურ საშუალებებს და პერსონალს ან მოწვეულ სპეციალისტს, მასზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეული იქნება ამ უკანასკნელის ბრალეულობით.
2.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისაგან.
2.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ მის მიერ უფლებამოსილი პირები (თანამშრომლები), რომელთა ვინაობასაც შემსყიდველი მიმწოდებელს წერილობით აცნობებს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 კვირის ვადაში. ასეთი პირების ცვლილების შემთხვევაში შემსყიდველმა წინასწარ 2 კვირით ადრე წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
3.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისი და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველთვიურად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
4.2 მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტს ხელმოსაწერად წარუდგენს შემსყიდველს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 9 რიცხვამდე. შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის მიღებიდან 3 დღის ვადაში ხელი მოაწეროს მიღება ჩაბარების აქტს.
4.3. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი უარს აცხადებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, იგი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს ხელმოწერაზე ურის თქმის არგუმენტირებული მოტივები. თუ მიღება-ჩაბარების აქტის მიღებიდან 3 დღის ვადაში შემსყიდველი არ შეასრულებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, მომსახურება ითვლება ჩაბარებულად.
4.4 მიღება-ჩაბარების აქტს გაფორმების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
5.2 გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.
5.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
5.5 ქ. თბილისში დადგენილი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის და 2011 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 1 ივნისამდე დაგროვილი დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების ანაზღაურების

ადგილია, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული საბანკო დაწესებულებები და გადასახადის მიმღები სხვა პუნქტები, რომელთანაც სს „სს ენერგო პრო ჯორჯია“ იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

6. ფასები

6.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.2 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

6.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 42 762,00 (ორმოცდა ორი ათას შვიდას სამოცდაორი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დღგ და სხვა) ჩათვლით. მათ შორის ყოველთვიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 7 127,00 (შვიდი ათას ასოცდაშვიდი) ლარს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ოპერატიული და პერიოდული ინფორმაცია (ანგარიში), გაწეული მომსახურების შესახებ.

7.1.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და საბილინგო სისტემაში დროულად და სრულყოფილად ასახვის მიზნით.

7.2.2 წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე დარღვევა-ნაკლოვანებების შესახებ.

7.2.3. აუნაზღაუროს მიმწოდებელს არასწორად მიწოდებული ინფორმაციის გამო მიყენებული ზიანი;

7.2.4 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3.2 მოსთხოვოს შემსყიდველს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და საბილინგო სისტემაში დროულად და სრულყოფილად ასახვის მიზნით.

7.3.3 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ საბანკო დაწესებულებებში გახსნას შემსყიდველისათვის სპეციალური ანგარიშები.

7.4.2 უზრუნველყოს რეგისტრირებული აბონენტების მიერ შემსყიდველისათვის გახსნილ სპეცანგარიშებზე ჩარიცხული დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანებისა და ტარიფის (საფასურის) თანხების გადარიცხვა ხელშეკრულების 1.2 პუნქტში განსაზაღვრულ სახაზინო ანგარიშზე, სპეცანგარიშებზე თანხის ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში;

7.4.3 შემსყიდველის აბონენტების მიერ ქვითარში ან SMS შეტყობინებაში ასახული დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების და დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობის ან არასრული გადახდის შემთხვევაში დავალიანების დაფარვამდე შეწყვიტოს მომხმარებლისათვის (აბონენტისათვის) თავისი მომსახურების გაწევა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის გზით, მიმწოდებლის კომერციული ციკლის შესაბამისად.

7.4.4 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული აბონენტების გათიშვა/ჩართვა განახორციელოს მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროცედურებით.

7.4.5 პასუხი აგოს ფინანსური ზარალისათვის, თუკი ეს ზარალი გამოწვეულია მიმწოდებელზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.4.6 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

8.1 დაუშვებელია ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ერთ-ერთი მხარისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილებები ან დამატებები უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 დაუშვებელია მიმწოდებელმა შემსყიდველთან წინასწარ წერილობითი შეთანხმების გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულებაზე დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას განახორციელებს იმ ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში, რასაც ახორციელებს ელექტროენერგიის რეალიზაციის და დავალიანების ამოღების კუთხით.

11.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

11.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4 მხარე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 ამ მუხლის 13.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ბუნებრივი კატაკლიზმებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ხელშეკრულების ირგვლივ წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში ყველა ღონე უნდა იხმარონ ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

15.2 თუ დავის წარმოშობიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ 15.1 პუნქტით გათვალისწინებული სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის თანახმად მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16.2 ის ურთიერთოებები, რომლებიც არ არის რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის იურიდიულ მისამართზე.

17.2 შეტყობინება ძალაშია ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
20.5 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე მხარეები 2021 წლის 01 ივლისადნაც გააფორმებენ ხელშეკრულებას, მოხდება ხელშეკრულების პირობების გადახედვა და მომსახურების ფასი განისაზღვრება აბონენტთა რაოდენობის მიხედვით.

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი 67 ს/ნ 206267494 სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრალური ფილიალი კოდი: LBRTGE22 ანგ. N: GE90LB0113172770216000	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ მის: ქ. თბილისი, ზ.ანჯაფარიძეს ქ. N 19 ს/ნ 205169066 სს „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ანგ. N: GE34BG0000000202872400GEL
„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
შპს „თბილსერვის ჯგუფი“ დირექტორი რომეო მიქაუტაძე	სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის უფლებამოსილი წარმოდგენილი გიორგი ზუკაკიშვილი